



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

24 აპრილი 2023 წელი

N 18/36

ეგზ.: N 1

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020-2021
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	8
	აუდიტის მიზანი	10
	აუდიტის მეთოდოლოგია	10
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	11
დანართები	დანართები	34
	საკონტაქტო ინფორმაცია	39

ტერმინები და შემოკლებები

- / ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- / მერია – ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.
- / მუნიციპალიტეტი – ახმეტის მუნიციპალიტეტი.
- / საკრებულო – ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- / შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

შესყიდვების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და განხორციელება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 19%¹ და 17%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 1,546.8 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

გამოუყენებელი პროექტები

მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებისა და ფუნქციონირების, ასევე შემენილი აქტივების განკარგვის მხრივ მიმდინარეობდა ხარვეზებით. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა, არაეფექტიანად დახარჯა 212.4 ათასი ლარი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს.

გამარტივებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ხარვეზები

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, 168.0 ათასი ლარის ღირებულების ობიექტები ჩაბარებულია და ანგარიშსწორება განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და იწვევს თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

ხელშეკრულების დაუსაბუთებელი ცვლილებით გამოწვეული არაეკონომიური ხარჯი

შესყიდვის ხელშეკრულებაში შეტანილი დაუსაბუთებელი ცვლილების შედეგად შესასრულებელი სამუშაოები მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც დააზიანა მუნიციპალიტეტის ინტერესები. შედეგად, მერიამ დაკარგა 18.3 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

წინასწარი ანგარიშსწორების ხარვეზი

მერიამ არ დაიცვა ხელშეკრულებით მის მიერვე დადგენილი მოთხოვნები და არ გააკონტროლა შემსრულებლის მიერ ავანსის გამოყენების პროცესი. კერძოდ, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება, რომ ავანსის სახით მიღებული თანხა – 379.6 ათასი ლარი მიმწოდებელმა გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, რაც ავანსის გაცემის მიზანი იყო.

¹ ვერ იქნა ათვისებული 1,768.6 ათასი ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 1,467.9 ათასი ლარი.

³ 2020 წელს - 574.7 ათასი ლარი, 2021 წელს - 2,541.8 ათასი ლარი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მიმწოდებლების მიერ ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე. მის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნების მიღებას შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებზე/სახელშეკრულებო ღირებულებაზე და აუარესებდა მერიის პირობებს.

დარიცხული და მიუღებელი პირგასამტეხლოს თანხა

სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხების ადმინისტრირების პროცესში, მერიამ სათანადოდ არ დაიცვა საკუთარი ინტერესები. ამასთანავე, დავალიანების მქონე მიმწოდებლების მიმართ არ გაატარა შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები და შედეგად ვერ უზრუნველყო 10.4 ათასი ლარის დარიცხული პირგასამტეხლოს მიღება.

ქონების მართვა და განკარგვა

ქონების მართვის ხარვეზები

ქონებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მერია სათანადოდ ვერ იცავს საკუთარ ინტერესებს. კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, რეაგირების გარეშე დარჩენილი ქონებით არამართლზომიერი სარგებლობის შემთხვევები; ასევე საიჯარო ქირის განსაზღვრისა და ხელშეკრულებების ადმინისტრირების პროცესში არსებული ხარვეზების შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტი ვერ იღებს დამატებით შემოსავლებს.

ინვენტარიზაცია

ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

მუნიციპალიტეტში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

იურიდიული პირების მართვა და დაფინანსება

იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით. კერძოდ, არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება: რიგ შემთხვევაში თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამება; გამოვლინდა კანონშეუსაბამოდ თანამშრომელთა რამდენიმე ორგანიზაციაში დასაქმების შემთხვევები; სათანადოდ არ არის დასაბუთებული მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებები იურიდიული პირების შექმნისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ა(ა)იპ – კახეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ხარვეზები

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლის მექანიზმები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის განვითარებასა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. მერია არ ფლობს ინფორმაციას ორგანიზაციისათვის გადაცემული ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ. ამდენად, მუნიციპალიტეტის ჩართულობა მის

მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობაში არასაკმარისი და არაეფექტიანია.

ა(ა)იპ – წითელი ჯვრის საზოგადოების დაფინანსების ხარვეზები

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა დახარჯა 66.0 ათასი ლარი. მერია პრაქტიკულად არ ატარებდა მემორანდუმით გათვალისწინებულ მონიტორინგს პროგრამით დაგეგმილი ამოცანების შესრულებასა და დახარჯული თანხების მიზნობრიობაზე. შესაბამისად, არ არის შესწავლილი გაწეული ხარჯის ეფექტიანობა და ღონისძიებების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან.

ადმინისტრაციული ხარჯები

საკრებულოს წევრებზე დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯი

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 123.1 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

დოკუმენტურად დაუსაბუთებელი წარმომადგენლობითი ხარჯები

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის წესი. შესაბამისი მუხლიდან თანხა დახარჯულია სათანადო დოკუმენტური აღრიცხვისა და დასაბუთების გარეშე. აღნიშნული შეიცავს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს.

მმართველობითი

გადაწყვეტილებები

დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან
მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ფარგლებში, რამაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯები გამოიწვია.

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

მერია ვერ უზრუნველყოფს საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირებას, რაც უარყოფითად აისახება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარვეზები

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუფასებია: შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს; რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება; დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. სამსახურის საქმიანობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას, არსებული საყურადღებო რისკების გამოვლენას, მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას გამოიყენოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №2: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

რეკომენდაცია №3: მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებში სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

რეკომენდაცია №4: მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას. აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

რეკომენდაცია №5: მერიამ საკრებულოსთან ერთად მიზანშეწონილია, შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №6: მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მონიტორინგისა და განკარგვის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ განახორციელოს შესაბამისი რეაგირება მუნიციპალური

ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

რეკომენდაცია №7: მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა. ასევე შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ. აღნიშნული ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №8: მერიამ იმსჯელოს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების საკითხზე. სათანადოდ დაასაბუთოს და მოითხოვოს დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის მოცულობის გაზრდა ან შეამციროს ხარჯები და საქმიანობა განახორციელოს გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფს საქმიანობის უფრო ეკონომიურად განხორციელებას და საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას.

რეკომენდაცია №9: მერიამ საკრებულოსთან ერთად უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და იმსჯელოს დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებლის გაზრდას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და კუთვნილი შემოსავლების მიღებას.

რეკომენდაცია №10: მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

რეკომენდაცია №11: მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებულ რისკებს და გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდასა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ახმეტის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:⁴

1) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

⁴ 2020-2021 წლებში მოქმედი რედაქციით.

-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
-)/ ქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №19 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №17 დადგენილება ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

ს) მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ს) აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- ს) დოკუმენტური შემოწმება;
- ს) ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
- ს) ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ახმეტის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 15 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს 110 სოფელსა და ადმინისტრაციულ ცენტრს – ქ. ახმეტას.⁵ მუნიციპალიტეტის ფართობია 2208 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 27.8 ათას კაცს.⁶

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები – 5,604.6 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარება – 11,240.0 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა – 3,388.3 ათასი ლარი; განათლება – 7,175.5 ათასი ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი – 4,575.0 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 2,528.0 ათასი ლარი.

⁵ ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

⁶ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge – 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁷ მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁸

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020-2021 წლების შემოსულობებმა 36,221.3 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 34,511.5 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2020-2021 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	შესრულების %	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულების %	სულ ფაქტი
შემოსულობები	17,460.3	17,267.4	99%	17,786.8	18,953.9	107%	36,221.3
შემოსავლები	17,455.3	17,228.4	99%	17,636.8	18,700.5	106%	35,928.9
არაფინანსური აქტივების კლება	5.0	39.0	780%	150.0	253.4	169%	292.4
ფინანსური აქტივების კლება	0	0	–	0	0	–	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	–	0	0	–	0
გადასახდელები	19,139.6	16,695.2	87%	20,047.3	17,816.3	89%	34,511.5
ხარჯები	9,501.8	8,826.5	93%	11,106.6	10,344.4	93%	19,170.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,494.8	7,726.2	81%	8,789.7	7,321.8	83%	15,048.0
ვალდებულებების კლება	143.0	142.5	100%	151.0	150.1	99%	292.6
ნაშთის ცვლილება	-1,679.3	572.2		-2,260.5	1,137.6		

2021 წელს მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა შემოსულობების მუხლი. კერძოდ, ვერ დაგეგმა შემოსავლების მოსალოდნელი შესრულება და საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებამ 1,167.1 ათასი ლარი შეადგინა.⁹ შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა კონკრეტულ საბიუჯეტო წელს ვერ უზრუნველყო გაზრდილი შემოსავლების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში ასახვა.

ორივე საბიუჯეტო წლისათვის მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის გადასახდელების მუხლი. კერძოდ, მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად წლის ბოლომდე ვერ აითვისა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁹ გადაჭარბებით შესრულდა შემოსავლების შემდეგი საბიუჯეტო მუხლები: ქონების გადასახადი, პროცენტი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, შემოსავალი მიწის იჯარიდან და არაფინანსური აქტივების კლება.

გამოყოფილი თანხები, ასევე ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით განსაზღვრული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სკოლების, სპორტული მოედნების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები; შეუსაბამოდ დაიგეგმა ან/და არ ჩატარდა სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებები.

საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვისა და შესრულების გამო, მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 1,688.3 ათასი ლარი. 2020 წლისათვის მუნიციპალიტეტმა არსებული ნაშთიდან დაგეგმა 1,679.3 ათასი ლარის ათვისება, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეულმა ფულადი სახსრების დაგროვებამ 572.2 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 2,260.5 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 574.7 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.¹⁰ 2021 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 2,260.5 ათასი ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 1,137.6 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 3,398.1 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 2,541.8 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.¹¹

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2021 წელს ვერ უზრუნველყო შემოსავლების დროული პროგნოზირება და ბიუჯეტში ასახვა. ასევე: 2020-2021 წლებში სათანადოდ ვერ შეასრულა ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტები და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას გამოიყენოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2.2.1 დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა 133 ხელშეკრულების ფარგლებში განახორციელა სხვადასხვა

¹⁰ წლის განმავლობაში წარმოშობილი ჭარბი საგადასახადო და სხვა შემოსავლები, სატენდერო ეკონომია.

¹¹ წლის განმავლობაში წარმოშობილი ჭარბი საგადასახადო და სხვა შემოსავლები, სატენდერო ეკონომია.

ინფრასტრუქტურული პროექტი, ღირებულებით – 14,396 ათასი ლარი.¹² მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მერიის მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.¹³ ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის¹⁴ მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა მერიის ინსპექტირების ჯგუფის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარებების საფუძველზე, რომლებიც შედგენილი იყო დადებითი საექსპერტო დასკვნების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. კერძოდ, აუდიტის ჯგუფმა შესრულებული სამუშაოები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად,¹⁵ რის შედეგად გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები. მაგალითად, 2021 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ქალაქ ახმეტაში შინმოსვლელობა სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 551.0 ათასი ლარი¹⁶ და სკვერის ინფრასტრუქტურა დაზიანებულია.¹⁷

გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა 8 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 995.8 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია საბავშვო ბაღების შენობები, საგზაო და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები¹⁸ (იხ. დანართი №1).

ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ძირითადად აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომელთა გამოვლენის ვალდებულება მერიის მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფსა და შესაბამის საექსპერტო დაწესებულებას ეკისრება. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს მათი პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

აღსანიშნავია, რომ დათვალიერების მომენტისათვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა. მერიის შესაბამის სამსახურს არ ჩაუტარებია ობიექტების მონიტორინგი, რაც საშუალებას მისცემდა დროულად გამოეკვლია დაზიანების მიზეზები და მოეთხოვა მათი გამოსწორება. შესაბამისად, მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და

¹² 10.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტების სახელშეკრულებო ღირებულება.

¹³ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის №252 ბრძანება „მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“.

¹⁴ 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოებს 2020-2021 წლებში ამოწმებდა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ (NAT190025456).

¹⁵ 2022 წლის 6-7 სექტემბერი.

¹⁶ NAT210008339, ხელშეკრულება №143.

¹⁷ სკვერში მოწყობილი კედლიდან ჩამოყრილია ფილები, დაზიანებულია სანათები, განათების ელექტრო სადენები რამდენიმე ადგილას მოწყობილი არ არის უსაფრთხოების ნორმების დაცვით; პარკში ბოძებზე დამაგრებული სანათების ნაწილი არ ფუნქციონირებს; დაზიანებულია მემორიალის წარწერები; დაზიანებულია ფიქსირდება მოწყობილ ტრენაჟორებზე, საბავშვო ატრაქციონებზე, სკვერში - სპორტული მოედნის კარი ჩამოვარდნილია; დაზიანებულია სასმელი წყლის ონკანები. კიბეზე მოწყობილი დეკორატიული ფილა რამდენიმე ადგილას ჩამოცვნილია.

¹⁸ დაზიანებების ნაწილი გამოწვეულია ვანდალური ქმედებით.

დასკვნა

არ უზრუნველყო არსებული დაზიანებების მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით დროული აღმოფხვრა.¹⁹

რეკომენდაცია №2

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 1,546.8 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლოატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, არ გამოავლინა მათზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით, არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

2.2.2 გამოუყენებელი პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას.²⁰

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.²¹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებისა და ფუნქციონირების, ასევე შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ, მიმდინარეობდა ხარვეზებით. მერიამ რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა და არსებული რესურსის ეფექტიანი გამოყენება, კერძოდ:

1) მუნიციპალიტეტმა 2020 წელს შეისყიდა სოფელ ომალოს კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები,²² ღირებულებით – 184.3 ათასი ლარი. შენობის ერთ-ერთ ოთახში განთავსებულია ბიბლიოთეკა, ხოლო დანარჩენი ნაწილი ფუნქციურად დატვირთული არ არის და გამოუყენებელია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ორგანიზაციული საკითხების სათანადოდ გადაწყვეტა და რეაბილიტირებული შენობის გამოყენება.

¹⁹ ერთ შემთხვევაში დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ხარვეზი გამოსწორებულია - NAT210009058.

²⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 19.

²¹ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ კანონი“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

²² NAT200001611.

- 2020 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ ქორეთში წისქვილის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 13.6 ათასი ლარი.²³ ობიექტის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ პროექტის შესაბამისად მოწყობილია შენობა, თუმცა არ არის აღჭურვილი და წისქვილი არ ფუნქციონირებს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო, რომ გამოყოფილი თანხა დახარჯულიყო მოსახლეობის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე.
- 2021 წლის ბოლოსათვის მუნიციპალიტეტს გამოყენებული არ ჰქონდა 14.5 ათასი ლარის ღირებულების ორი ინფრასტრუქტურული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.²⁴ პროექტები შესყიდულია 2016-2017 წლებში და მათ ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო 2,017.2 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები.²⁵ აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენება მუნიციპალიტეტს არც 2022 წლის ბიუჯეტით დაუგეგმავს. წარმოდგენილი ინფორმაციით, პროექტები ვერ განხორციელდა დაფინანსების არარსებობის გამო. მუნიციპალიტეტს საწყის ეტაპზე უნდა განესაზღვრა პროექტის რეალური საჭიროება, სავარაუდო ღირებულება, დაფინანსების წყარო და მხოლოდ ამის შემდეგ განეხორციელებინა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცედურები. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში გააჩნდა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 212.4 ათასი ლარი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დასახულ მიზნებს.

რეკომენდაცია №3

მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებში სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

2.2.3 საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.²⁶ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ითვალისწინებს ხარისხიანი პროდუქტის მიწოდებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

²³ CMR200127393.

²⁴ NAT160004170 და NAT170007028.

²⁵ ახმეტის მუნიციპალიტეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლის დარბაზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია - 1357.2 ათასი ლარი, სოფ. ქორეთში მისასვლელი საავტომობილო გზის ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები - 660.0 ათასი ლარი.

²⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა 14 ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა 258,0 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.²⁷

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული პროექტებით შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობა. გამოვლინდა, რომ შესყიდული დოკუმენტაციის ნაწილი შეიცავდა ხარვეზებს. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ხელშეკრულებებში ცვლილებები შედიოდა სისტემატურად.²⁸ კერძოდ, პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში არსებული ხარვეზების გამო, იცვლებოდა სამუშაოების მოცულობები ან/და ემატებოდა ახალი სამუშაოები. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში იწვევდა როგორც სახელშეკრულებო თანხების ცვლილებას,²⁹ ასევე სამუშაოების დასრულების ვადების გაზრდას,³⁰ მაგალითად:

- 1) 2021 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ქ. ახმეტაში სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 551.0 ათასი ლარი.³¹ სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 6 თვე.³² სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ხელშეკრულებაში 3-ჯერ შევიდა ცვლილება, რომელთა საფუძველი იყო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში სამუშაოების/მასალების სახეობისა და მოცულობის კორექტირებები.³³ კორექტირების საფუძველზე სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 32.6 ათასი ლარით, ხოლო მიწოდების ვადა – 70 დღით.
- 2) 2020 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით – 1,629.0 ათასი ლარი.³⁴ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, ხელშეკრულებაში 4-ჯერ შევიდა ცვლილება. მათ შორის, მნიშვნელოვნად დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა, რის შედეგად სახელშეკრულებო ღირებულება 41.8 ათასი ლარით გაიზარდა.³⁵ ხარჯთაღრიცხვის ცვლილების პარალელურად იზრდებოდა მიწოდების ვადები. ჯამში მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს სამუშაოების დასრულების ვადა 161 დღით გადაუწია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მიმწოდებლების მიერ ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე. მის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნების მიღებას შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან

²⁷ მათ შორის: 2020 წელს - 6 ხელშეკრულება, თანხით - 189,5 ათასი ლარი; 2021 წელს - 8 ხელშეკრულება, თანხით - 68,5 ათასი ლარი.

²⁸ 2020 წელს 14 ხელშეკრულებაში 31 ცვლილება შევიდა; 2021 წელს 16 ხელშეკრულებაში - 41 ცვლილება. მათ შორის, ორი და მეტი ცვლილება 2020 წელს შევიდა - 10, ხოლო 2021 წელს - 12 ხელშეკრულებაში.

²⁹ 2020 წელს 8 ხელშეკრულების ფარგლებში სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 170,9 ათასი ლარით; 2021 წელს 7 ხელშეკრულების ფარგლებში - 152,0 ათასი ლარით.

³⁰ მიწოდების ვადები გაზრდილია 15 ხელშეკრულებაში. მინიმალური ზრდა - 7, ხოლო მაქსიმალური ზრდა - 101 დღეა.

³¹ NAT210008339.

³² 2021 წლის 22 ივნისიდან 2021 წელი 20 დეკემბრის ჩათვლით.

³³ საჭირო გახდა მიწის შემოტანა და მოსწორება, ასევე ბეტონის კედლის მოწყობა. გაიზარდა რიგი სამუშაოების მოცულობა: ბეტონის ბორდიურების, დეკორატიული ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები და სხვ. ასევე შემცირდა სამღებრო, სამონტაჟო და სხვა სამუშაოების მოცულობები.

³⁴ NAT200009536.

³⁵ დაემატა ახალი სამუშაოები: მეტლახის ფილებით მოპირკეთება, ბუნებრივი ბაზალტის ფილების მოწყობა, კიბის ნაწილის დამუშავება-შედგება და სხვ. გაიზარდა არსებული სამუშაოების მოცულობები: გრანიტის იატაკის მოწყობა, კიბის საფეხურების მოპირკეთება, ფოლადის მოაჯირის მოწყობა, ლითონის მოაჯირის დამუშავება და შედგება და სხვ.

რეკომენდაცია №4

შესაბამისობაზე. ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე და აუარესებდა მერიის პირობებს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას. აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

2.3 შესყიდვების მართვა

2.3.1 გამარტივებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ხარვეზები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესაბამისად,³⁶ გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.³⁷

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის გზით, 4 ხელშეკრულებით, შეისყიდა სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით – 168.0 ათასი ლარი.³⁸ აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში მერიამ სამუშაოები ჩაიბარა და ანგარიშსწორება განახორციელა ფაქტობრივი დანახარჯების დადასტურების გარეშე. აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ფაქტობრივი ხარჯის ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა მერიამ შესაბამისი მონაცემები ვერ წარმოადგინა.

გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, შესაძლოა შესყიდვა განხორციელდეს არასაბაზრო ფასად. ამ რისკიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. რადგან მუნიციპალიტეტი ანგარიშსწორებისას არ ითვალისწინებდა კანონმდებლობის აღნიშნულ მოთხოვნას, არსებობს რისკი, რომ საბიუჯეტო სახსრები შემსყიდველის მიერ ზედმეტად არის ანაზღაურებული.

გამარტივებული შესყიდვით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ანგარიშსწორების პროცესში, ანალოგიური დარღვევები დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ წინა აუდიტის ანგარიშშიც. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა გამოვლენილი გარემოება არ გაითვალისწინა.

³⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

³⁷ 2019 წლის 27 თებერვლიდან რეგულაცია ვრცელდება გამარტივებული წესით შესყიდულ ისეთ სამუშაოებზე, რომელთა ღირებულება აღემატება 40.0 ათას ლარს.

³⁸ CMR200078790; CMR200096611; CMR210072622; CMR210092421.

დასკვნა

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა არ დაიცვა კანონმდებლობის მოთხოვნა და 168.0 ათასი ლარი მიმწოდებლებს აუნაზღაურა ფაქტობრივი დანახარჯების დათვლისა და დადასტურების გარეშე. აღნიშნული, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ქმნის საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

რეკომენდაცია №5

მერიამ საკრებულოსთან ერთად, მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამობების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2.3.2 ხელშეკრულების დაუსაბუთებელი ცვლილებით გამოწვეული არაეკონომიური ხარჯი

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.³⁹ ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენცია.⁴⁰

მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები.⁴¹

ფაქტობრივი გარემოება: 2021 წელს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობის სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით – 400.0 ათასი ლარი.⁴² ტენდერში მონაწილეობას იღებდა ორი პრეტენდენტი და გაიმარჯვა შპს „გზამშენი 2005-მა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 320.0 ათას ლარზე. აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული იყო ბაზალტის ახალი ბორდიურების მოწყობისა და მათი ტრანსპორტირების პუნქტები, რაც აისახა გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში განხორციელდა ხელშეკრულების დაუსაბუთებელი ცვლილება, რომლის შედეგადაც შემსყიდველი ორგანიზაციის პირობები არსებითად გაუარესდა. კერძოდ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 13 დღეში მერიის ინიციატივით⁴³ ბაზალტის ბორდიურები შეიცვალა ბეტონის ბორდიურებით (შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მონაცემები გაუარესდა), ხოლო ხელშეკრულების ღირებულება შესაბამისად არ შემცირებულა.⁴⁴

არსებობს მაღალი რისკი, რომ შპს „გზამშენი 2005-ისთვის“ წინასწარ იყო ცნობილი მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, რის გამოც სატენდერო

³⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

⁴⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4.

⁴¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

⁴² NAT210000028.

⁴³ მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 1 მარტის №01/922 წერილი შპს „გზამშენი 2005“-ის დირექტორს.

⁴⁴ ბაზალტის ბორდიურების ღირებულება აღემატება ბეტონის ბორდიურების ღირებულებას.

დასკვნა

წინადადებაში მიზანმიმართულად შეამცირა ბაზალტის ბორდიურების მოწყობა/ტრანსპორტირების პუნქტების ღირებულება. ტენდერზე პრეტენდენტების მიერ დაფიქსირებული შეთავაზებების შედარებით დგინდება, რომ შპს „გზამშენი 2005-მა“ გაიმარჯვა ხარჯთაღრიცხვის ზემოაღნიშნულ ორ პუნქტში დაფიქსირებული დაბალი ფასების ხარჯზე. („გზამშენი 2005-ის“ შეთავაზება – 80.0 ათასი ლარი, კონკურენტის შეთავაზება – 131.5 ათასი ლარი). ამ პუნქტების გარეშე ფასების შედარების შემთხვევაში გამარჯვებული პრეტენდენტის დაფიქსირებული თანხა 18.3 ათასი ლარით აღემატება დამარცხებული პრეტენდენტის თანხას.

მერიამ გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიტანა დაუსაბუთებელი ცვლილება, რომლის შედეგად მისი პირობები არსებითად გაუარესდა. ცვლილების შედეგად ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა შესასრულებელი სამუშაოების შემადგენლობა. არსებობს რისკი, რომ მერია და მიმწოდებელი ამ პროცესში მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით, რის გამოც პრეტენდენტები არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ და ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესყიდვის კონკურენტულ გარემოში ჩატარება. შედეგად, მერიის ინტერესები დაზიანდა და დაკარგა 18.3 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.3.3 წინასწარი ანგარიშსწორების ხარვეზი

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვროს წინასწარი ანგარიშსწორების პირობები.⁴⁵ მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად მიღებული თანხები გამოიყენოს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.⁴⁶

ფაქტობრივი გარემოებები: მუნიციპალიტეტმა 2020 წლის 28 თებერვალს ხელშეკრულება გააფორმა სოფელ მატნის №2 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეძენაზე, ღირებულებით – 760.1 ათასი ლარი.⁴⁷ ინფრასტრუქტურული ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 26 აგვისტო. სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა შემსრულებლისთვის წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმს 20%-ის ოდენობით.

მიმწოდებელმა 2020 წლის 23 მარტს წერილობით მიმართა მერიას და აცნობა, რომ საგრძნობლად მოიმატა სამშენებლო მასალებისა და სხვადასხვა მოწყობილობის ფასებმა. სამუშაოების შეუფერხებლად შესრულების მიზნით, მიმწოდებელმა გადაწყვიტა დაჩქარებული ტემპით შეეძინა ზემოთ მითითებული სამშენებლო მასალა, რისთვისაც მოითხოვა ავანსის სახით გასაცემი თანხის გაზრდა 50%-მდე. მერია დაეთანხმა აღნიშნულ მოთხოვნას და 2020 წლის 24 მარტს ხელშეკრულება შესაბამისად შეიცვალა. შედეგად, 2020 წლის 27 მარტის მდგომარეობით შემსრულებელს ავანსის სახით ჩარიცხული ჰქონდა 379.6 ათასი ლარი.

შემსრულებელმა ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული ობიექტის დასრულება წინასწარ განსაზღვრული თარიღისთვის და მიწოდების ვადა გადაიწია სამჯერ.⁴⁸ ცვლილებების საფუძველიდან ჩანს, რომ მიმწოდებელმა, მიუხედავად მნიშვნელოვანი მოცულობის თანხების ავანსის სახით მიღებისა,

⁴⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 35, მე-2 და მე-10 პუნქტები.

⁴⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21¹, პუნქტი 4.

⁴⁷ NAT200000048.

⁴⁸ სამუშაოების ზედამხედველი კომპანია მერიას აცხობინებდა, რომ სამუშაოები მიმდინარეობდა შეფერხებით.

ავანსი არ გამოიყენა მიზნობრივად და სამშენებლო მასალები სავარაუდოდ წინასწარ არ შეისყიდა. აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებებით: 2020 წლის 17 აგვისტოს ცვლილების ერთ-ერთ მოტივად დასახელებულია, რომ პანდემიის გავრცელების გამო სამშენებლო მასალების ფასები გაზრდილია და მიმწოდებელს უწევს მათი მოძიება როგორც საქართველოში, ასევე საზღვრებს გარეთ, რასაც სჭირდება დამატებითი დრო. 2020 წლის 8 დეკემბრის ცვლილების მიზეზად კი ჩანს, რომ კომპანია დაგეგმილ ვადებში ვერ ახერხებდა საბავშვო ბაღის კეთილმოწყობისათვის საჭირო საბავშვო ატრაქციონების შეძენასა და მონტაჟს, რადგან მისი იმპორტი უნდა განხორციელებულიყო სხვა ქვეყნიდან, რასაც სჭირდებოდა დამატებითი დრო.

დასკვნა

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება ავანსის თანხების მიმდინარე შესყიდვის მიზნებით გამოყენებასთან დაკავშირებით. ზედამხედველი კომპანიის მიერ სამუშაოების შეფერხებით მიმდინარეობაზე სისტემატური შეტყობინების მიუხედავად, მერიამ არ გააკონტროლა შემსრულებლის მიერ ავანსის გამოყენების პროცესი და ავანსირების მექანიზმი ვერ გამოიყენა საკუთარი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, სამუშაოების შეუფერხებლად და დროულად მიწოდების მიზნით.

2.3.4 დარიცხული და მიუღებელი პირგასამტეხლოს თანხა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.⁴⁹

გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტი იყენებდა საჯარიმო სანქციებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის. პირგასამტეხლოს გადახდა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება, მხარეებისათვის სავალდებულოა.

სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია შემდეგი გარემოების არსებობა: მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით დაუყოვნებლივ მიმართოს სააგენტოს წერილობითი შეტყობინებით, თუ წარმოიშობა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი.⁵⁰

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მერიის მიერ მიმწოდებლებზე ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის დარიცხულმა და მიუღებელმა პირგასამტეხლოს თანხამ 10.4 ათასი ლარი შეადგინა.⁵¹ აღნიშნული თანხა, არც 2020-2021 წლებშია გადახდილი. მიუხედავად ამისა, მიმწოდებლების წინააღმდეგ მერიას სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები არ განუხორციელებია.

⁴⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

⁵⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 19 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“, მუხლი 3, პუნქტი 4, „ბ“ ქვეპუნქტი; მუხლი 4, პუნქტი 1.

⁵¹ NAT190012947; NAT190011756; NAT190011758; NAT190017251; NAT190011759; NAT190011759; NAT190012974; CMR190140982.

საჯარმო სანქციების ადმინისტრირების ხარვეზი განაპირობა შემდეგმა სუბიექტურმა გარემოებებმა:

1) მერია შესრულებულ სამუშაოებზე საბოლოო ანგარიშსწორებას ახორციელებდა ისე, რომ მიმწოდებლებს ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება შესრულებული არ ჰქონდათ. მიმწოდებლები, როგორც წესი, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ჯარიმებს არ იხდიდნენ.

2) ჯარიმის გადაუხდელობის ანუ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო გაეტარებინა სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. მათ შორის, მიემართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების შავ სიაში დასარეგისტრირებლად. მერიას აღნიშნული ვალდებულება არ შეუსრულებია. აღსანიშნავია, რომ დავალიანების მქონე ექვსი მიმწოდებლიდან – სამთან,⁵² 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა გააფორმა რამდენიმე ხელშეკრულება, რომელთა ფარგლებში ანგარიშსწორება სრულად განხორციელდა.

დასკვნა

სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარმო თანხების ადმინისტრირების პროცესში, მერიამ სათანადოდ არ დაიცვა საკუთარი ინტერესები. ამასთანავე, დავალიანების მქონე მიმწოდებლების მიმართ არ გაატარა შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები და, შედეგად, ვერ უზრუნველყო 10.4 ათასი ლარის დარიცხული პირგასამტეხლოს მიღება.

2.4 მუნიციპალური ქონების მართვა

2.4.1 ქონების მონიტორინგისა და განკარგვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მერიის შესაბამისი სამსახურები ვალდებული არიან: უზრუნველყონ მუნიციპალური ქონების დაცვა და მოვლა-პატრონობა, განახორციელონ ზედამხედველობა მართლზომიერ სარგებლობასა და განკარგვაზე;⁵³ გამოავლინონ მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავების ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობის ფაქტები და გაატარონ ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.⁵⁴

კანონმდებლობის მიხედვით, ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი გახდა, შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ გააფორმებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ. ამ დროს შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.⁵⁵ საიჯარო ქირის საფასური შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.⁵⁶ ქონების საიჯარო ღირებულება დგინდება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე.⁵⁷

⁵² ი/მ ბ. ო.; ი/მ გ. ქ.; ი/მ ზ. ო.

⁵³ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №4 დადგენილებით დამტკიცებული „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულება“, მუხლი 4, „ვ“ ქვეპუნქტი.

⁵⁴ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №6 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 3, „ფ“ ქვეპუნქტი.

⁵⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398.

⁵⁶ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებები, მუხლი 2.4.

⁵⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 36.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი ფლობდა 600-მდე დასახელების სხვადასხვა დანიშნულების უძრავ ქონებას.⁵⁸ მერიამ ვერ უზრუნველყო საკუთრებაში არსებული აქტივების სათანადო მონიტორინგი. შედეგად, მუნიციპალური ქონება გამოყენებულია არაუფლებამოსილი პირების მიერ. ამასთანავე, საიჯარო ქირის განსაზღვრისა და ხელშეკრულებების ადმინისტრირების პროცესში არსებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას, კერძოდ:

ა) აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული პროცედურებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 33 ერთეული მიწის ნაკვეთით, საერთო ფართობით 273 ჰა,⁵⁹ სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები (იხ. დანართი №2). უნებართვოდ დაკავებული მიწები გამოყენებულია ერთწლიანი/მრავალწლიანი ნარგავებისთვის, სამოვრებად, შენობა-ნაგებობის განსათავსებლად და ა.შ., მაგალითად:

- ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის⁶⁰ ნაწილზე აშენებულია შენობა-ნაგებობა. მოსარგებლესთან რაიმე ტიპის ხელშეკრულება ქონების გამოყენების უფლების გადაცემის შესახებ არ იყო გაფორმებული;
- სოფელ კასრისწყალში მდებარე 35 ჰა ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს⁶¹ ფიზიკური პირი იყენებდა ერთწლიანი კულტურების გასაშენებლად. მოსარგებლესთან რაიმე ტიპის ხელშეკრულება ქონების გამოყენების უფლების გადაცემის შესახებ არ იყო გაფორმებული.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ ჰქონდათ ინფორმაცია თვითნებურად დაკავებული ქონების შესახებ და აღნიშნული მათთვის ცნობილი გახდა აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ მერიის სტრუქტურის ფარგლებში შექმნილია და ფუნქციონირებს ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილებები, რომლებშიც დასაქმებულია 12 საჯარო მოსამსახურე და მათი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სწორედ აღნიშნული საკითხების მართვაა.⁶²

თვითნებურად დაკავებული ქონებიდან, 7 ერთეულზე⁶³ მუნიციპალიტეტმა გააფორმა საიჯარო ხელშეკრულებები აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, 2022 წლის ივლისში. შედეგად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წლიურად მიიღებს 56.4 ათასი ლარით მეტ შემოსავალს.

ბ) 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში მოქმედებდა 2013-2018 წლებში გაფორმებული 41 გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება (იხ. დანართი №3). მუნიციპალიტეტი არ იყენებდა კანონმდებლობითა და საიჯარო

⁵⁸ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით.

⁵⁹ მათ შორის, 7 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ჯამური ფართობი - 5.1 ჰა და 26 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ჯამური ფართობით - 267.9 ჰა.

⁶⁰ საკადასტრო კოდი: 50.04.43.076.

⁶¹ საკადასტრო კოდი: 50.30.31.087.

⁶² საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №4 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4 და საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 3, „ფ“ ქვეპუნქტი.

⁶³ საკადასტრო კოდები: 50.30.31.077, 50.28.33.012, 50.29.32.173, 50.30.31.090, 50.30.31.089, 50.30.31.082, 50.30.31.087.

ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფასების გადახედვის შესაძლებლობას. კერძოდ, მერიაში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, საიჯარო ფასი გადაისინჯება მხოლოდ საიჯარო ვადის ამოწურვისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში. აღნიშნულის შესაბამისად, 9 ხელშეკრულებისათვის⁶⁴ გაგრძელდა საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ყველა შემთხვევაში, ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, საიჯარო ღირებულება საშუალოდ 35%-ით გაიზარდა. დანარჩენი 32 გრძელვადიანი ხელშეკრულებისთვის, რომელთა ფარგლებში წლიურად მისაღები ჯამური საიჯარო ქირა 42.3 ათასი ლარია, მერიას საიჯარო ქირა საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში არ მოუყვანია, რითაც დაკარგა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

- ქონების იჯარის ორი ხელშეკრულება⁶⁵ გაფორმებულია 2015 წელს. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო საიჯარო ფასი დაედგინა დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე, თუმცა ობიექტები იჯარით არის გაცემული, ნორმატიული ფასის შესაბამისად. მათ შორის, ერთის – 6 955 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საიჯარო ღირებულება შეადგენს წლიურად 8 ლარს.

დასკვნა

ქონებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაიცვა საკუთარი ინტერესები. კერძოდ, კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, სათანადო რეაგირების გარეშე დარჩენილი სხვადასხვა არაუფლებამოსილი პირის მიერ მუნიციპალიტეტის ქონებით არამართლზომიერი სარგებლობის შემთხვევები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტი კარგავს დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია №6

მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მონიტორინგისა და განკარგვის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ განახორციელოს შესაბამისი რეაგირება მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

2.5 იურიდიული პირების მართვა

2.5.1 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს დააფუძნოს იურიდიული პირები, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებს.⁶⁶ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დაწესებულების ხელმძღვანელმა ორგანიზაციაში და მის დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ორგანიზაციაში უზრუნველყოფილ იქნეს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად გამოყენება. დაწესებულების ხელმძღვანელი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად

⁶⁴ საკადასტრო კოდები: 50.04.42.017, 50.01.39.087, 50.07.31.048, 50.04.47.069, 50.04.42.017, 50.06.33.547, 50.06.33.067, 50.04.42.401, 50.04.48.398.

⁶⁵ საკადასტრო კოდები: 52.76.31.060 და 50.13.32.003.

⁶⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პუნქტი 1 და პუნქტი 2, მუხლი 106¹.

შესასრულებლად, შეიმუშავეს და აყალიბეს ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას.⁶⁷

საჯარო მოსამსახურეს უფლება არ აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში.⁶⁸ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო მოსამსახურე არის პროფესიული საჯარო მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.⁶⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა მის მიერ დაფუძნებული 17 იურიდიული პირი,⁷⁰ მათ შორის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულია 15 ა(ა)იპ. გაცემულმა სუბსიდიამ სულ – 11,420 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების 33%-ზე მეტია. სუბსიდიის ძირითადი ნაწილი – 75% დაიხარჯა ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე, კერძოდ, 2020-2021 წლებში ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 1006-1025 პირი.⁷¹ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის (27.8 ათასი ადამიანი)⁷² რიცხოვნობის გათვალისწინებით, აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

ა(ა)იპ-ების მართვის პროცესი მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი სისტემური ხარვეზებით და ორგანიზაციების საქმიანობით მიღებული სარგებელი, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამებოდა მათი ფუნქციონირებისათვის დახარჯულ ფინანსურ რესურსებს, კერძოდ:

1) ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა ფუნქციური დატვირთვა, რიგ შემთხვევებში, ვერ დასტურდება, მაგალითად:

- ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია რამდენიმე თანამშრომლის ფუნქციებისა და საქმიანობის საჭიროების შესახებ, კერძოდ, ვერ დადასტურდა ა(ა)იპ-ის საკლუბო გაერთიანების ღონისძიებების ორგანიზების 6 სპეციალისტის შესაბამისი აქტივობა. ასევე ვერ დადგინდა ა(ა)იპ-ის 11 თანამშრომლის ფუნქციური დატვირთვა, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში ბიბლიოთეკის გამგეებად, კულტურის სახლის თანამშრომლებად და ა.შ.⁷³ გარდა ამისა, ორგანიზაციაში დასაქმებული იყო ისტორიულ ძეგლთა 3-5 მცველი, რომელთა ფუნქციური დატვირთვა სათანადოდ ვერ დასტურდება. სულ ზემოაღნიშნული პირების შრომის ანაზღაურებაზე 2020-2021 წლებში 103.5 ათასი ლარი დაიხარჯა.

2) დაფუძნებული სუბიექტების ორგანიზაციული სტრუქტურა/საშტატო განრიგი არ არის ოპტიმიზებული, მაგალითად:

- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში დასაქმებული პირები ერთდროულად მუშაობენ 2-3 სხვადასხვა საბიუჯეტო

⁶⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი, პუნქტი 2; მუხლი 8, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁶⁸ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 2.

⁶⁹ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 3, „დ“ ქვეპუნქტი.

⁷⁰ 2 - შპს და 15 - ა(ა)იპ.

⁷¹ აღნიშნულ მაჩვენებელს თუ დაფუძნებულ მერიასა და საკრებულოში დასაქმებულთა რიცხოვნობას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში დასაქმებულია 1176-1193 პირი.

⁷² აღნიშნულ მაჩვენებელში შედის საპენსიო ასაკის და 18 წლამდე მოსახლეობა.

⁷³ აღნიშნული შტატები გაუქმდა 2022 წელს.

ორგანიზაციაში. კერძოდ, 2020 წელს პარალელურად რამდენიმე ორგანიზაციაში დასაქმებული იყო 28, ხოლო 2021 წელს – 32 პირი. მათ შორის, 2020 წელს – 6 და 2021 წელს – 9 დასაქმებულ პირს სხვადასხვა ორგანიზაციაში ეკავათ მთავარი ბუღალტრის, იურისტის, შესყიდვების სპეციალისტის და ა.შ. პოზიციები (იხ. დანართი №4). აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება, რამდენად მიზანშეწონილი და ეფექტიანია ერთი და იმავე პირების დასაქმება სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში და ასევე რამდენად ასრულებდნენ ისინი მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ერთდროულად, რამდენიმე პოზიციაზე მუშაობის პირობებში;

- მერიაში 2020 წელს დასაქმებული – 2 და 2021 წელს დასაქმებული 3 მოსამსახურე პარალელურად ასევე მუშაობდა ერთ ან ორ ა(ა)იპ-ში (იხ. დანართი №5), რაც კანონმდებლობის დარღვევაა.⁷⁴

J დაფუძნებული სუბიექტების მართვის პროცესში სახსრები არაეკონომიურად გამოიყენება, მაგალითად:

- მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური, რომელიც 2021 წლის ივნისიდან გაიყო და არსებულის ბაზაზე შეიქმნა 2 ა(ა)იპ.⁷⁵ 2020-2021 წლებში აღნიშნულ ა(ა)იპ-ებზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა, სულ – 1,595.0 ათასი ლარი. ორგანიზაციის გაყოფის შედეგად 3 ერთეულით გაიზარდა ადმინისტრაციაში დასაქმებულთა რაოდენობა, რომელთა ხელფასებზე წლიურად დამატებით, დაახლოებით, 21 ათასი ლარი იხარჯება. გადაწყვეტილება ახალი იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ არ არის დასაბუთებული, რადგან სხვადასხვა ადმინისტრაციის მართვის პირობებში სუბიექტები იმავე სამუშაოებს ასრულებენ და ფუნქცია-მოვალეობებიც არ შეცვლილა;
- ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს წესდებით ევალება ახმეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა და მათი მოვლა-პატრონობა. 2020-2021 წლებში სუბიექტში ამ მიზნით დასაქმებული იყო 15-16 პირი, რომლებსაც შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ, დაახლოებით, 92.0 ათასი ლარი. ა(ა)იპ-ის საქმიანობის მიმართულებები დუბლირებულია მერიის სამსახურის ფუნქციებთან. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ძეგლთა დაცვის განყოფილება, მსგავსი ფუნქციებით. განყოფილებაში შესაბამის პერიოდში დასაქმებული იყო 4 თანამშრომელი და მათზე ხელფასის სახით გაცემულია, დაახლოებით, 90.0 ათასი ლარი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა ხორციელდებოდა ხარვეზებით, კერძოდ, არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება: რიც შემთხვევაში თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამება; გამოვლინდა კანონშეუსაბამოდ თანამშრომელთა

⁷⁴ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 2.

⁷⁵ ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური და ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური.

რეკომენდაცია №7

რამდენიმე ორგანიზაციაში დასაქმების შემთხვევები; სათანადოდ არ არის დასაბუთებული მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებები იურიდიული პირების შექმნისა და საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით.

მერამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, მერამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა; ასევე შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქცი-მოვალეობების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ. აღნიშნული ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2.5.2 კახეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს დააფუძნოს იურიდიული პირები, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს.⁷⁶

2020-2021 წლებში კახეთის რეგიონში ფუნქციონირებდა რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია – ვიზით კახეთი.⁷⁷ წესდების მიხედვით სუბიექტის საქმიანობის მიზანია კახეთის რეგიონის იმიჯის ამაღლება, ტურიზმის პოპულარიზება, რეგიონში უნიკალური ტურისტული პროდუქტების შემუშავება და სხვ.

მუნიციპალიტეტს, როგორც დამფუძნებელს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ა(ა)იპ-ის საქმიანობასა და მართვაში. მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁷⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020 წელს მუნიციპალიტეტმა – 5.0 ათასი ლარით, ხოლო 2021 წელს 29.5 ათასი ლარით დააფინანსა ა(ა)იპ – კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია – ვიზით კახეთი.

შესწავლით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტი არ ატარებდა მის მიერ დაფუძნებული და დაფინანსებული ორგანიზაციის საქმიანობის სათანადო მონიტორინგს. იურიდიული პირის განხორციელებული საქმიანობის შესახებ მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ფორმალური ხასიათისაა და ვერ უზრუნველყოფს შედეგების მიმოხილვასა და ანალიზს. მასში წარმოდგენილია ფინანსური ინფორმაცია ორგანიზაციის გასული წლის ხარჯების შესახებ, თუმცა განხილული არ არის კონკრეტული საქმიანობა, შეფასებული არ არის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევის/დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა და შეუსრულებლობის მიზეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სარგებელი მიიღო ტურიზმისა და ეკონომიკური განვითარების კუთხით.

⁷⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პირველი და მე-2 პუნქტები.

⁷⁷ 2016-2018 წლებში ფუნქციონირებდა ა(ა)იპ – კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო, ხოლო 2019 წელს, მისი რეორგანიზაციის შემდეგ, ჩამოყალიბდა ა(ა)იპ – კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია – ვიზით კახეთი.

⁷⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლის მექანიზმები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის განვითარებასა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. მერია არ ფლობს ინფორმაციას ორგანიზაციისათვის გადაცემული ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ. ამდენად, მუნიციპალიტეტის ჩართულობა მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობაში არასაკმარისი და არაეფექტიანია. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული 34.5 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა სათანადოდ ვერ იქნა დასაბუთებული.

2.6 ა(ა)იპ – წითელი ჯვრის საზოგადოების დაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება და მონიტორინგი გაუწიოს თანხების ხარჯვას.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა⁷⁹ 66.0 ათასი ლარით დააფინანსა ა(ა)იპ – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება. წარმოდგენილი ინფორმაციით, გაცემული დაფინანსებიდან 54.4 ათასი ლარი (80%-ზე მეტი) დახარჯულია წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომელთა ხელფასებზე, ხოლო დანარჩენი 11.6 ათასი ლარით დაფინანსებულია სოციალური ღონისძიებები და ცენტრის სხვა მიმდინარე ხარჯები.

მუნიციპალიტეტსა და წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ორგანიზაციის დაფინანსების მიზანი იყო მოსახლეობის სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომლის ფარგლებში დაიგეგმა შემდეგი ამოცანები:

- ┌ ბენეფიციარების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- ┌ მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა ჯანდაცვაზე;
- ┌ მოწყვლადი ჯგუფების საქმიანობების განვითარება ინფორმაციული და ორგანიზაციული მხარდაჭერით.

მუნიციპალიტეტი პრაქტიკულად არ ატარებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მონიტორინგს პროგრამით დაგეგმილი ამოცანების შესრულებასა და დახარჯული თანხების მიზნობრიობაზე. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები პროგრამის განხორციელების პროცესში ჩატარებული ღონისძიებებისა და კონკრეტული შედეგების შესახებ.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, თუ რა შედეგი მიიღო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან გაფორმებული ხელშეკრულებით. შედეგად, მერიას არ შეუძლავლია გახარჯული თანხების ეფექტიანობა და ღონისძიებების შესაბამისობა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან.

2.7 ადმინისტრაციული ხარჯები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.⁸⁰ მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების

⁷⁹ 2020 წლის 14 იანვრის და 2021 წლის 18 იანვრის ხელშეკრულებები.

⁸⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

2.7.1 საკრებულოს წევრებზე დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯი

განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.⁸¹ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁸² ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი არის პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც მითითებულია დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები) 2020-2021 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ სულ 123.1 ათასი ლარი.⁸³ საკრებულოს დადგენილებით, აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად განსაზღვრული იყო ზღვრული მოცულობა – ყოველთვიურად, 390 ლარის ოდენობით.⁸⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურებლად უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამდენად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძველად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე, საკრებულოს წევრებზე ძირითადად ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 123.1 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.7.2 დოკუმენტურად დაუსაბუთებელი წარმომადგენლობითი ხარჯები

კრიტერიუმი: წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს მიღებების, წვეულებებისა და ღონისძიებებისთვის (პრეზენტაცია, ოფიციალური სადილი და ა.შ.), საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სუვენირების შეძენის, სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის, აგრეთვე

⁸¹ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის №7 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.

⁸² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 6, პუნქტი 7.

⁸³ 2020 წელს - 60.8 ათასი ლარი, 2021 წელს - 62.3 ათასი ლარი.

⁸⁴ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის პირველი თებერვლის №7 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.

დასკვნა

სასტუმროს მომსახურების ხარჯებს.⁸⁵ მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევასთან დაკავშირებული წესის⁸⁶ მიხედვით, მერიის ადმინისტრაციული სამსახური, შესაბამისი სამსახურების მოთხოვნის საფუძველზე ამზადებს მერის სახელზე მოხსენებით ბარათს, სადაც აღწერილია გასატარებელი ღონისძიებების შინაარსი, სტუმრების დაახლოებითი რაოდენობა, რის შემდგომაც შესაძლებელია განხორციელდეს მომსახურების შესყიდვა.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ხარჯებმა შეადგინა 24.5 ათასი ლარი.⁸⁷ მუნიციპალიტეტმა საბიუჯეტო მუხლით განსაზღვრული თანხა დახარჯა ოფიციალური სტუმრების გამასპინძლებისთვის. მუნიციპალიტეტი არ იცავდა მის მიერვე შემუშავებულ წესს ვერ უზრუნველყოფდა კვებით მომსახურების შესყიდვაზე თანხების გამჭვირვალედ ხარჯვას. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა ხარჯების დამადასტურებელი სრული ინფორმაცია ვერ წარმოადგინა. თანხები ძირითადად ანაზღაურებულია მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტებისა და სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე. რიგ შემთხვევებში ასევე გაურკვეველია, რომელი ღონისძიების ფარგლებში იქნა ხარჯი გაწეული.

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის წესი. შესაბამისი მუხლიდან თანხა დახარჯულია სათანადო დოკუმენტური აღრიცხვისა და დასაბუთების გარეშე. აღნიშნული შეიცავს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს.

2.8 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.8.1 დელეგირებული უფლებამოსილების საკუთარი შემოსავლიდან დაფინანსების ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.⁸⁸ ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უნდა მოითხოვოს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი.⁸⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს დელეგირებული ჰქონდა ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებების ნაწილი.⁹⁰ აღნიშნული უფლებამოსილებების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით მუნიციპალიტეტმა მიიღო, ჯამში – 782.8 ათასი ლარი.⁹¹ გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დაფინანსებისთვის, გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დამატებით დახარჯა 69.1 ათასი ლარი.⁹² აღნიშნული თანხა ძირითადად გამოყენებულია შრომის ანაზღაურების, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად, რომლის დაგეგმვა და გაანგარიშება მუნიციპალიტეტს შეეძლო წინასწარ.

⁸⁵ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის №99 ბრძანება.

⁸⁶ მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 26 იანვრის №30 ბრძანება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯების შემადგენლობის, დაფინანსებისა და ხარჯვის შესახებ შიდა წესის დამტკიცების თაობაზე“.

⁸⁷ მათ შორის, 2020 წელს – 12.3 ათასი ლარი, 2021 წელს – 12.2 ათასი ლარი.

⁸⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 17, პუნქტი 2.

⁸⁹ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, მუხლი 79, პუნქტი 2.

⁹⁰ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის (ნაწილობრივ), საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის (ნაწილობრივ), ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ღონისძიებების უზრუნველყოფა.

⁹¹ 2020 წელს – 445.0 ათასი ლარი, 2021 წელს – 337.8 ათასი ლარი.

⁹² 2020 წელს – 30.7 ათასი ლარი, 2021 წელს – 38.4 ათასი ლარი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გაზრდის მიზნით შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისთვის არ მიუძღრთავს. მერიას არ უმსჯელია, შეემცირებინა ხარჯები და საქმიანობა განხორციელებინა დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

რეკომენდაცია №8

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯები გამოიწვია.

მერიამ იმსჯელოს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების საკითხზე. სათანადოდ დაასაბუთოს და მოითხოვოს დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის მოცულობის გაზრდა ან შეამციროს ხარჯები და საქმიანობა განახორციელოს გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფს საქმიანობის უფრო ეკონომიურად განხორციელებას და საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას.

**2.8.2 დასუფთავების
მოსაკრებლის
ადმინისტრირების ხარვეზები**

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.⁹³ მუნიციპალიტეტში საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი, რომლის მიხედვით, დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნის ნარჩენებს.⁹⁴

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს მერიის ზედამხედველობის სამსახური.⁹⁵

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, იურიდიული პირებიდან 2020-2021 წლებში დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები იყო 121.9 ათასი ლარი. ბიუჯეტში ფაქტობრივად მობილიზებულია მხოლოდ 62.2 ათასი ლარი – მისაღები მოსაკრებლის 41%. ჯამური დავალიანება 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 68.3 ათას ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტი ფიზიკური პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას არ ახორციელებდა. მერიას არ აქვს შედგენილი მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზა და შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით არ გეგმავს წლის განმავლობაში მისაღებ შემოსავლებს.

დასკვნა

მერია ვერ უზრუნველყოფს საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირებას, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №9

მერიამ საკრებულოსთან ერთად უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და იმსჯელოს დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს

⁹³ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

⁹⁴ საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №58 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“.

⁹⁵ საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №58 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 3.

მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებლის გაზრდას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და კუთვნილი შემოსავლების მიღებას.

2.8.3 ჩაუტარებული ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁹⁶ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტს 2020 წელს არ ჩაუტარებია აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, ხოლო 2021 წელს ჩატარებული აქვს მხოლოდ მცირეფასიანი აქტივების (მატერიალური ფასეულობები) ინვენტარიზაცია. შესაბამისად, არ განხორციელებულა აქტივების, ვალდებულებებისა და ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან შედარება. ასევე არ ჩატარებულა შემოწმება ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების და არაფინანსური აქტივების ექსპლოატაციის წესების დაცვის კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ არის ჩაბარებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საკუთრებაში არსებული აქტივების მოძრაობაზე. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი, მისი კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

დასკვნა

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დაარღვია სამართლებრივი აქტის მოთხოვნები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაცია №10

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

⁹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-2 და მე-3 მუხლები.

2.9 შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სამსახურის არსებობა.⁹⁷ სამსახურის მიზანია ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. სამსახურმა უნდა შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. შიდა აუდიტის სამსახური ადგენს შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშს, გასცემს რეკომენდაციებს გამოვლენილი მიგნებების შესახებ, ხოლო შემდგომში ახორციელებს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში შიდა აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ფინანსური და შესაბამისობის 6 აუდიტორული შემოწმება. არ ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული 2 აუდიტი. აღსანიშნავია, რომ ყველა შემოწმება შეეხო მუნიციპალიტეტის დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, ხოლო მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის აუდიტი არ ჩატარებულა. ასევე 2020 წელს არ განხორციელებულა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

შემოწმების შედეგების მიხედვით, შიდა აუდიტის სამსახურს არ გამოუვლენია მუნიციპალიტეტის საქმიანობის არსებითი ნაკლოვანებები, ხოლო გამოვლენილი მიგნებები, ხშირ შემთხვევაში ეხება პროცედურული ხასიათის დარღვევებს. გაცემული რეკომენდაციები, ძირითად შემთხვევებში, ზოგადი ხასიათისაა და არ არის მიმართული კონკრეტული ნაკლოვანების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, რის გამოც ისინი ვერ უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული მნიშვნელოვანი რისკების მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. სამსახურს ასევე არ განუხორციელებია შემოწმებული ობიექტების, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის/მერიის სტრუქტურული ერთეულების კონტროლის მექანიზმებისა და საქმიანობის რისკების შეფასების პროცედურები და სისტემური დარღვევების იდენტიფიცირება, რაც გააუმჯობესებდა ობიექტების საქმიანობას. შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად, არ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად.

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუფასებია: შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს; რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება; დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. სამსახურის საქმიანობა საკმარისად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას, არსებული საყურადღებო რისკების გამოვლენას, მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

დასკვნა

⁹⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

რეკომენდაცია №11

მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებულ რისკებს და გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდასა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

**2.10 წინა პერიოდში
ჩატარებული აუდიტის
შედეგად გამოვლენილი
დარღვევა-ნაკლოვანებების
მდგომარეობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რაც აღწერილია აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსური რესურსების მართვის პროცესი მიმდინარეობს ხარვეზებით;
- სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას ანგარიშსწორება განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების დადასტურების გარეშე;
- წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევის პროცესი სათანადოდ არ არის დადოკუმენტირებული;
- მუნიციპალიტეტის მერია ვერ უზრუნველყოფს საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებას;
- მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის პროცესი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ ხორციელდება;
- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები**ხელმოწერა****ბარამ ონიანი**

უფროსი აუდიტორი

ნატალია საღარეიშვილი

უფროსი აუდიტორი


სოფიო ბელთაძე

უფროსი აუდიტორი

ლელა მიქაძე

აუდიტორი






დანართები

დანართი №1

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

NAT/CMR	სამუშაოების ღირებულება (ლარი)	მიმწოდებელი	დათვალიერებული ობიექტი	გამოვლენილი ხარვეზი
NAT200017259	11 965	შპს „მეგა დიზაინი“	ფიჩხოვანის საბავშვო ბაღის სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები	სველი წერტილის გვერდით გარემონტდა ერთი ოთახი, სადაც კარის ორივე მხარეს, კედლების ქვედა ნაწილი დაზიანებულია ნესტისგან, კერძოდ: ჩამოცვენილია ნაღესი და ბათქაში.
CMR210072622	23 336	შპს „ასიანი“	სოფ. ქვემო ალვანში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	გარემონტებული ოთახის კედლებზე ფიქსირდება ბზარები, ასევე შესასვლელი. კართან კედლის კუთხეები არ არის შეღებილი.
NAT200012823	482 067	შპს „გზამშენი- 2005“	სოფ. ბაზანურში მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზას აღენიშნება გრძივი ბზარები.
CMR200078806	14 757	ი/მ ბ. ო.	სოფ. ბირკიანის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები	ბაღის შენობაში დარბაზის ერთი კედელი თითქმის მთლიანად არის დაზიანებული, გარედან შემოსული წყლის გამო.
NAT210008339	551 020	შპს „მშენებელი“	ქ. ახმეტაში შინმოუსვლელთა სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები	სკვერში მოწყობილი კედლიდან ჩამოყრილია ფილები, დაზიანებულია სანათები. განათების ელსადენები რამდენიმე ადგილას მოწყობილი არ არის უსაფრთხოების ნორმების დაცვით. პარკში ბოძებზე დამაგრებული სანათების ნაწილი არ ფუნქციონირებს. დაზიანებულია მემორიალის წარწერები, დაზიანებები ფიქსირდება მოწყობილ ტრენაჟორებზე, საბავშვო ატრაქციონებზე, სკვერში სპორტული მოედნის კარი ჩამოვარდნილია, დაზიანებულია სასმელი წყლის ონკანები. კიბეზე მოწყობილი დეკორატიული ფილა რამდენიმე ადგილას ჩამოცვენილია. საპირფარეშოში მოწყობილი 3 წერტილიდან, 2 - დაკეტილია და არ ფუნქციონირებს. (დაზიანებების ნაწილი გამოწვეულია მექანიკური ზემოქმედებით, ვანდალური ქმედებით)
CMR200085768	13 252	ი/მ რ. ა.	სოფ. ჯოგოლოს დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	მოწყობილ დარბაზში დაზიანებულია კედლები. ჩამოყრილია ბათქაში და საღებავი.
NAT210009058	39 355	შპს „სასწორი“	სოფ. ახალშენის ჭაბურღილისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა	ჭაბურღილი დაზიანებული იყო და არ ფუნქციონირებდა.
NAT200001611	184 300	შპს „ლინა-მ“	სოფ. ომალოს კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები	შესრულებული სამუშაოების ფარგლებში დამონტაჟებული 8 სათვალთვალო კამერა და გათბობის სისტემის ქვაბი ადგილზე არ ფიქსირდება (პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ისინი მოპარულია და მიმდინარეობს გამოძიება). შენობის რამდენიმე ფანჯრის მინა ჩამსხვრეულია, სპორტდარბაზში დაზიანებულია ხის იატაკი (ამოყრილია ფიცრები), ერთ ადგილზე სახურავიდან ჟონავს წყალი და აზიანებს ჭერს. ობიექტი ფუნქციურად დატვირთული არ არის. ერთ-ერთ ოთახში განთავსებულია ბიბლიოთეკა, ხოლო დანარჩენი ნაწილი გამოუყენებელია.
NAT200007364	226 759	შპს „ტერმინალი“	ქ. ახმეტაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოები	რამდენიმე ფანჯარასთან დაზიანებულია გარე კედლის ნაწილი.
ჯამი:	1 546 813			

დანართი №2

არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენებული მიწები

კოდი	მისამართი	დანიშნულება	ფართობი (კვ.მ.)
50.04.43.076	ქალაქი ახმეტა, რუსთაველის ქუჩა, სპორტდარბაზის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო	3176
50.04.43.074	ქალაქი ახმეტა, რუსთაველის ქუჩა, სპორტდარბაზის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო	589
50.04.47.012	ქალაქი ახმეტა, ბახტრიონის ქუჩა, სასაფლაო	არასასოფლო-სამეურნეო	17000
50.04.50.003	ქალაქი ახმეტა, გაგარინის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო	12226
50.04.46.032	ქალაქი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	2295
50.12.34.231	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოჟიო	სასოფლო-სამეურნეო	8561
50.04.46.006	ქალაქი ახმეტა	არასასოფლო-სამეურნეო	8042
50.04.46.005	ქალაქი ახმეტა, ბახტრიონის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო	7660
50.30.31.087	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კასრისწყალი	სასოფლო-სამეურნეო	350251
50.30.31.082	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კასრისწყალი	სასოფლო-სამეურნეო	102573
50.30.31.083	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კასრისწყალი	სასოფლო-სამეურნეო	150076
50.30.31.077	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კასრისწყალი	სასოფლო-სამეურნეო	410910
50.28.33.012	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კასრისწყალი	სასოფლო-სამეურნეო	101803
50.29.32.173	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კასრისწყალი	სასოფლო-სამეურნეო	71525
50.30.31.076	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კასრისწყალი	სასოფლო-სამეურნეო	606097
50.30.31.090	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კასრისწყალი	სასოფლო-სამეურნეო	404427
50.30.31.089	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კასრისწყალი	სასოფლო-სამეურნეო	106606
50.12.38.378	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხორხელი	სასოფლო-სამეურნეო	17572
50.12.32.222	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხორხელი	სასოფლო-სამეურნეო	96144
50.08.31.255	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ომალო	სასოფლო-სამეურნეო	2900
50.09.36.299	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი მალრაანი	სასოფლო-სამეურნეო	47526
50.07.33.163	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ომალო	სასოფლო-სამეურნეო	2450
50.09.36.416	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფიჩხოვანი	სასოფლო-სამეურნეო	20130
50.10.37.316	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახშაანი	სასოფლო-სამეურნეო	2237
50.12.35.302	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოჟიო	სასოფლო-სამეურნეო	99915
50.12.36.313	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოლოთო	სასოფლო-სამეურნეო	10000
50.12.33.139	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოჟიო	სასოფლო-სამეურნეო	8807
50.11.41.064	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი მატანი	სასოფლო-სამეურნეო	2706
50.12.38.376	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხორხელი	სასოფლო-სამეურნეო	8987
50.09.35.209	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფიჩხოვანი	სასოფლო-სამეურნეო	4816
50.03.38.070	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბაზანეური	სასოფლო-სამეურნეო	8135
50.12.35.316	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოლოთო	სასოფლო-სამეურნეო	26077
50.09.31.278	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი მალრაანი	სასოფლო-სამეურნეო	8443
სულ:			2730662

დანართი №3

გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებით გაცემული ობიექტები

ქონების დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	ფართობი კვ.მ	გაცემის თარიღი	იჯარის ვადა (წელი)	წლიური საიჯარო თანხა (ლარი)	გადაფასებული საიჯარო თანხა
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	სოფელი საჩალე	50.04.44.125	27428	23.04.2013	59	4114	არ გადაფასებულია
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	სოფელი საჩალე	50.10.33.052	28928	23.04.2013	59	4339	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საძოვრის კატეგორია	სოფელი კასრისწყალი, სამუხი	52.76.31.060	2007991	15.09.2015	49	1600	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	სოფელი ფიჩხოვანი	50.09.36.255	77101	03.04.2017	49	3528	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	სოფ. ახაშნის ველები	50.10.41.100	64710.0	11.11.2015	20	1230	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	ქ. ახმეტა, ბექის ძირის ტერიტორია	50.04.51.134	20000	21.09.2015	20	500	არ გადაფასებულია
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	თუშეთი, ომალო	50.26.33.371	1244.0	15.12.2016	20	390	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სათიბი კატეგორია	სოფელ ხალაწნის მიმდებარედ	50.06.35.078	10851	14.12.2016	20	140	არ გადაფასებულია
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	თუშეთი სოფელი ხისო	50.26.31.093	650	15.12.2016	20	183	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სათიბი კატეგორია	სოფელ ხალაწნის მიმდებარედ	50.06.35.078	4399	16.01.2017	20	60	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სათიბი კატეგორია	სოფელ ხალაწნის მიმდებარედ	50.06.35.082	3004	16.01.2017	20	50	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სათიბი კატეგორია	სოფელ პიტნიანი	50.04.40.155	4015	30.01.2017	20	85	არ გადაფასებულია
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	სოფელი დუისი	50.05.34.033	701	16.10.2017	20	351	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	სოფელი ქისტაური	50.10.36.110	4240	30.08.2016	15	140	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საძოვარი კატეგორია	სოფელი მატანი	50.11.46.001	44005	10.08.2016	15	180	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	სოფელი საჩალე	50.10.33.095	4971	05.08.2016	15	170	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	სოფელი ხორხელი	50.12.33.142	12845	30.08.2016	15	405	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სათიბი კატეგორია	სოფელი შახვეტილა	50.13.32.158	9409	15.08.2016	15	60	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	სოფელი ქისტაური	50.10.36.097	6619	25.10.2016	15	205	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	სოფელი ხორხელი	50.12.38.401	11422	03.08.2016	15	380	არ გადაფასებულია

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	სოფელი ქისტაური	50.10.40.096	26678	18.04.2017	15	881	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	სოფელი აწყური	50.02.32.399	1909	18.10.2017	15	59	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საძოვრის კატეგორია	სოფელი მახვეტილა	50.13.32.003	6955	27.05.2015	10	8	არ გადაფასებულია
რძის გადამამუშავებელი საწარმო შენობაზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო მიწით	ქალაქი ახმეტა	50.04.40.008	8464	25.04.2016	10	15032	არ გადაფასებულია
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორია	სოფელი კოლოთო	50.12.39.084	1600	01.12.2015	10	27	არ გადაფასებულია
ორსართულიანი შენობის მე-2 სართულზე არსებული სამუშაო ფართი	სოფელი ჯოყოლო	50.07.31.048	32	11.04.2017	5	102	არ გადაფასებულია
ორსართულიანი შენობის მე-2 სართულზე არსებული სამუშაო ფართი	სოფელი საკობიანო	50.05.33.092	14.5	27.06.2018	5	132	არ გადაფასებულია
ორსართულიანი შენობის მე-2 სართულზე არსებული სამუშაო ფართი	ქალაქი ახმეტა	50.04.42.100	19.8	29.08.2018	5	447	არ გადაფასებულია
ზემო ალვანის კულტურის სახლის შენობაში, პირველ სართულზე არსებული სამუშაო ფართი	სოფელი ზემო ალვანი	50.01.35.421	37.9	11.06.2018	5	300	არ გადაფასებულია
ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე არსებული სამუშაო ფართი	ქალაქი ახმეტა, რუსთაველის ქ. 56	50.04.43.112	162.9	15.03.2018	5	6800	არ გადაფასებულია
ორსართულიანი შენობის პირველ და მეორე სართულებზე არსებული სამუშაო ფართები	სოფელი ოჯიო	50.12.31.449	60	09.08.2018	5	357	არ გადაფასებულია
გარე განათების ბოძებზე 5 სმ-იანი მონაკვეთი	ქალაქი ახმეტა		37 ცალი	10.10.2018	5	78	არ გადაფასებულია
ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე არსებული სამუშაო ფართი	ქალაქი ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №50	50.04.42.017	15.0	08.10.2013 21.10.2019	5	200	250
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ქალაქი ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა	50.04.48.398	164	04.12.2015	5	109	150
ორსართულიანი შენობის მე-2 სართულზე არსებული სამუშაო ფართი	სოფელი დუისი	50.06.33.547	89.7	09.10.2015 20.02.2019	3	637	1200
ორსართულიანი შენობის მე-2 სართულზე არსებული სამუშაო ფართი	ქალაქი ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №50	50.04.42.017	34.6	20.10.2014	5 +3	240	305
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ქალაქი ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა	50.04.42.401	123	24.02.2016	5+5	74	84
ავტოფარეხი	ქალაქი ახმეტა	50.04.47.069	59.51	24.03.2014 10.07 .2019	5+5	420	535
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა - ხელოვნური ტბის ტერიტორია	ქალაქი ახმეტა, ბახტრიონის მიმდებარე	50.01.39.087	6553	05.06.2014	3+3+5	930	1347

ორსართულიანი შენობის მე-2 სართულზე არსებული სამუშაო ფართი	სოფელი დუისი	50.06.33.067	120,4	09.11.2015 15.02.2019	3+5	855	960
ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე არსებული სამუშაო ფართი	სოფელი ჯოყოლო	50.07.31.048	151.5	25.02.2016	3+5	1042	1212

დანართი №4

ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებში პარალელურად დასაქმებული პირების შესახებ

წელი	დასაქმებული ორგანიზაცია	დაკავებული თანამდებობა
2020	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური	იურისტი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	კორექტორი ანალიტიკოსი
2020	ა(ა)იპ - თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია	სატვირთოს მძღოლი
2020	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი	ექსკავატორის მძღოლი
2020	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი	მძღოლი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	დარაჯი
2020	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი	ექსპრესკურიერი
2020	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის	საკლუბო გაერთიანების სპეციალისტი
2020	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება	მთავარი ბუღალტერი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი	შესყიდვების უფროსი
2020	ა(ა)იპ - თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია	სახელმწიფო შესყიდვების ბუღალტერი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი	მთავარი ბუღალტერი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი	სოციალური მუშაკი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი	მზარეული
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	მთავარი ბუღალტერი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური	მთავარი ბუღალტერი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი	ექსპრესმძღოლი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა	მწვრთნელ-მასწავლებელი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი	ექსპრესკურიერი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი	აღმზრდელის დამხმარე
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური	სპეციალისტი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი	აღმზრდელის დამხმარე

დანართი №5

ინფორმაცია მერიასა და მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებში
პარალელურად დასაქმებული პირების შესახებ

წელი	დამსაქმებელი ორგანიზაცია	დაკავებული თანამდებობა
2020	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი	შესყიდვების სპეციალისტი
	მუნიციპალიტეტის მერია	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი	შესყიდვების სპეციალისტი
2020 2021	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი
	ა(ა)იპ - თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია	ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი
	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი	შესყიდვების სპეციალისტი
	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
2021	ა(ა)იპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლი	მძღოლი
	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	ტექნიკური სპეციალისტი

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38